# ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 პარასკევი, 5 იანვარი № 1346

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.** **ტელეფონი № 372.**


ეროვნული ბიბლიოთეკა

3 იანვარს, ღამის სამ საათზედ, მოულოდნელად გარდაიცვალა

## ეკატერინე თადეოზის ასული სტაროსელსკისა,

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ შვილები და შვილის-შვილები განსვენებულისა. პანაშვიდები ყოველ დღე შუადღის 1 საათზე და საღამოს 8 საათზე. გარდაცვალებულის გვამს გამოასვენებენ სადგომიდან კვირას, 7 იანვარს, ნაშუადღევის 1 საათზე. წესის აგება და დაკრძალვა მოხდება ს. საგურამოში 8 იანვარს.

## 1901 წლისათვის
### მიიღება ხელის მოწერა
## „მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე

ყოველ თვიური ჟურნალი

### „მოამბე“

(წელიწადი მერვე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| კავკასიაში და რუსეთში: | | საზღვარ გარეთ: | |
|---|---|---|---|
| 1 წლით | 10 მ. | 1 წლით | 13 მ. |
| 6 თვით | 6 „ | 6 თვით | 7 „ |
| 3 „ | 3 „ | 3 „ | 5 „ |

**წლიური ფასის განაწილება:**

პირველად—5 მანეთი, 1-ლ აპრილამდე—[illegible] მანეთი და 1-ლ სექტემბრამდე—[illegible] მანეთი.

ყოველ დღიური გაზეთი

### „ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეექვსე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

| კავკასიაში და რუსეთში: | | საზღვარ გარეთ: | |
|---|---|---|---|
| 1 წლით | 6 მ. | 1 წლით | 9 მ. |
| 6 თვით | 4 „ | 6 თვით | 7 „ |
| 1 „ | 75 კ. | 1 „ | 90 კ. |

**წლიური ფასის განაწილება:**

პირველად—3 მანეთი, პირველ აპრილამდე—3 მანეთი. თითო ნომერი—3 კაპ.

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4—5 კაპ.; თუ განცხადება [illegible]-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.**

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში. ტელეფონი № 372.

---

შაბათს, 6 იანვარს 1901 წ., ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში გამართულ იქმნება

## ბალი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის თანხის გასაძლიერებლად.

ბილეთი ღირს 2 მან. და 10 კაპ.

ქალებისათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის. სამხედრო კაცთათვის ჩვეულებრივი ტანისამოსი და დანარჩენებისთვის ფრაკი და ნაციონალური ტანისამოსი.

ბილეთები იყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან. (8—7)

---

**გარგანეთის მრეწველთა** კრების საბჭო ამით აცხადებს, რომ შუადღის 12 საათზე, 1901 წლის 8 იანვარს, საბჭოს სადგომში, ქ. ქუთაისში, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით სამუშაო ჭიათურის მარგანეცის სამრეწველო რაიონში გზების შეკეთებისა და გაფართოვებისა 14000 მან. ღირებულობისა. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, უნდა წარადგინოს საბჭოში ვაჭრობის დაწყებამდე 700 მან. ნაღდი ფული, ან მთავრობის მიერ უზრუნველ ყოფილ სარგებლიანი ქაღალდებით. ეს გირაო შევსებულ იქნება სამუშაო ღირებულობის 10%-მდე იმით, რომ მოიჯარადრეს დაეკავება 10% ფასისა, რომელიც მას მიეცემა ასრულებულ საქმეში. ვაჭრობის შედეგი საბჭომ უნდა დაამტკიცოს. (ნ. 3—3)

---

„კავკაზ“-ში დაბეჭდილია: „ტფილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ამით აცხადებს, რომ ტფილისის მოქალაქე **არტემ მიხეილის-ძე ახნაზაროვი**, თანახმად სასამართლოს განყოფილებათა საზოგადო კრების დადგენილებისა 1900 წლის 25 ნოემბრისა, მიღებულია საოლქო სასამართლოს კერძო ვექილთა რიცხვში“. (1—1)

---

## ტფილისის კერძო
## სამკურნალო

**მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.**

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა მუდიანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათამდე.

ი. ვ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—2 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

---

# ფელეტონი

## ...დროა გუშველოთ საწყალ ინგლისს *).

(წერილი ედმონდ გაროკურისა)

...გეკითხებით, ნუ თუ ნებას მისცემს ევროპა, რომ ინგლისის ერი მთლად გაწყვიტოს ერთმა მუჭა ბურებმა? განა მოვითმენთ, რომ აუარებელი ხალხი შევიწროვებულ მდგომარეობაში ჩააყენოს საცოდავმა ...ერე ჯრმა და განა ნებას მივცემთ, რომ ...მდენიმე ასმა გლეხკაცმა სდიოს და ილა... გაუწყვიტოს ურიცხვ ჯარის კაცებს. ...უსამართლობაა, ბოროტებაა; ეს წმინდა ...არქიაა, ეს წინააღმდეგია ყოველი ჭკვათა ...ოფელობისა. ბურები უსინიდისოდ და ...ენედ სარგებლობენ თავიანთ სიცოტავით, ...ვ პირს ამტვრევენ და ჰქრებიან, იმალე...ან და შეუძლებელსა ჰხდიან, რომ სამა...ერო გადაუხადონ საწყალმა ინგლისელებ... ბურების რაზმები ისე გაფანტულნი ...ოთ-წითო იბრძვიან, რომ მთელი ქვეყ...ის ჯარები ვერას გააწყობენ იმათთან. ეს ...ბრძოლა უსამართლო, უთანასწორო და შეუძლებელია. ბრიტანიის მიწაწყალს ისევ შეესია და ლამის წალეკოს თავზე ხელ აღებულმა ხალმა, რომელსაც არაფერი არა სწამს: არც სხვისი საკუთრება, არც წმინდა სიყვარული სამშობლოსა, ოჯახისა და სახელისადმი:

ნამდვილად შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ ყველა განათლებული სახელმწიფოები დაბრმავებულან და ვერაფერი ვეღარ გაუგიათ, ან საზოგადო სიძულილი ჩანერგილი ინგლისის წინანდელი სიამაყით, ჯერ ისევ იმდენად ძლიერია, რომ ჩვენ უსინიდისოდ ვითმენთ ჩვენთვის უსიამოვნო ერის ამოწყვეტას.

მაგრამ ეს მეტის-მეტია, ჩვენ ერთობ წრეს გადავდივართ. შეიძლება გვიხაროდეს რამდენადმე დამარცხება ამპარტავანი ალბიონისა; შეიძლება გავიხაროთ იმაზედაც, რომ იმას ასწავლეს ცოტაოდენი პატივის ცემა ადამიანის უფლებისა და დამოუკიდებლობისადმი. მაგრამ ეს სიხარული ბოროტებად იქცევა, თუ ჩვენ იქამდე მივაღწევთ, რომ თანამოზიარენი გავხდებით ინგლისის სრული მოსპობისა. ამიტომ კმარა სიხარული!

ინგლისი დიდ საფრთხეშია. ამისთანა მდგომარეობამ მეტის მეტად დიდხანს გასტანა. ადამიანთა ერთობის გრძნობა ძალას გვატანს, რომ უსათუოდ გავერივნეთ საქმეში და ბოლო მოვუღოთ ბოროტებას. უნდა დავიხსნათ ინგლისი! ის იწყვეტავს ფულებს, ცხენებს და კაცებს. მართალია ძალიან მდიდარია, მაგრამ ამაზე მეტი აღარ შეუძლიან. იმისი სიამაყე და იმისი საერთაშორისო მდგომარეობა ნებას არ აძლევენ, რომ სთხოვოს ევროპას საქმეში გაერიოს და დანიშნოს სამედიატორო სამართალი, რომელიც ომს შეაჩერებს და გადაარჩენს ბრიტანიის იმპერიას დაღუპვისაგან. ინგლისი ელის ამ შემწეობას, სწყურიან შემწეობა, მხოლოდ თხოვნასა და ვედრებას ვერა ჰბედავს. ჩვენი მოვალეობაა გამოვიჩინოთ ამ შემთხვევაში დიდ-სულოვნობა, დავივიწყოთ ყოველი უსიამოვნობა და ჩვენის ნებითა და სურვილით გაუწიოთ შემწეობა, რომელმაც თავად ისეც დაიგვიანა და რომლის თხოვნას ვერ გვიბედავენ. რიგი და წესი მოითხოვს, რომ დიდ-სულოვანმა ერმა თაოსნობა იკისროს და შუამავლობა გასწიოს, რადგანაც მხოლოდ ამ შუამავლობას შეუძლიან გადაარჩინოს ინგლისი.

მაშ რატომ არავინ ხმას არ იღებს, რა ამბავია ესა? დიპლომატიას ბევრი რამ უცნაური სჭირს, და მე ვეცდები განვმარტო ეს უცნაურობა—ჩვენში კი დარჩეს, თუ ღმერთი გწამთ, რადგანაც ჯერ არ მოსულა საიმისო დრო, როცა პირუთნეველი ისტორია გამოაჩენს საიდუმლო ხელშეკრულებათა, დამალულ დოკუმენტებს და ყველა საგნების სარჩულს. ამ ჟამად ადგენენ სადიპლომატო დრამას, რომანიულს და მაკიაველისებურს და ამასთანავე მარტივსა, ცხადსა და უცილობელს. ისტორია სასტიკად მოექცევა ამ ავანტიურის გმირებს, ის თვალებს გაუხელს მომავალ თაობებს მაღალ წარჩინებულ პირებზე: იმპერატორ ვილჰელმზე და პრეზიდენტ კრიუგერზე, რომლებზედაც ჩვენის გულ-უბრყვილობით სულ შემცდარი აზრი გვაქვს შედგენილი. ეს ორი კაცი ის არ არიან, რაც ჩვენ გვეგონა და ის როლი, რომელსაც ისინი თამაშობენ ამ ნისლით დაბურულ ისტორიაში, სულ სხვაა, სანამ ჩვენ ვიცნობდით დღევანდლამდე. ეს მალე გამოაშკარავდება სრულებით უცილობელი საბუთებიდან. ესლა საკმაოა გავსინჯოთ იმათი ქცევა მხოლოდ ჭკვათამყოფლობის თვალით და გაკვირვებული დავრჩებით, რომ აქამდე გვჯეროდა ის სიცრუე, რომლითაც ჩვენ თვალებს გვიხვევდნენ.

რას ვხედავდით ჩვენ ომის დაწყების დროს? გერმანიის იმპერატორს, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ძლიერ თანაუგრძნობდა სუსტ ერს, რომელსაც თავს დაეცა ძლიერი ერიო. მერე რაღა ვნახეთ? იმავე იმპერატორმა თვალწინ კარები ჩაუკეტა იმ წარმომადგენელს, რომელიც გმირებმა გამოგზავნეს ზავის სათხოვნელად. ჩვენ ვართ უსამართლონი და ბეცები: გერმანიის იმპერატორი სწორედ ასრულებს ნაკისრს როლს. ნამდვილად რას დაჰპირდა ის? არ აიღოს ხელი ბურებზე და არ მისცეს ვისმე ნება, რომ ისინი გასრისოს და თავიანთ სამშო-

*) ეს წერილი დაბეჭდილია ფრანგულ გაზ. „გოლუაში“. ავტორი იშვიათის ოხუნჯობით და გესლიანად ასცინის ინგლისის მდგომარეობას და გერმანიის როლს ინგლის-ბურების საქმეში.

დ. ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინაგანი — 12—1 საათამდე.

ვ. დ. მარკევიჩი — სდოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი — სიფილისის, კანისა და საშარდესი — $1^1/_2$—2 საათამდე

**ს ა დ ა მ ო თ ი:**

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი — 5—6 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოდ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი

(წდ.) მიხეილ გედევანიშვილი

---

## დისციპლინა საზოგადო საქმეებში.

ქვემოდ ჩვენ ვბეჭდავთ ბ. გრ. გველესიანის წერილს ჩვენის ქუთათურის კორესპონდენტის წინააღმდეგ. ამ წერილს, იმედი გვაქვს, ჩვენი კორესპონდენტიც უგებს პასუხს, მაგრამ საჭიროდ მივაჩნია ორიოდე სიტყვა ვთქვათ აღძრულ საკითხის შესახებ, რადგანაც მას საზოგადობრივი მნიშვნელობა აქვს.

წარსულ თვეში ქუთაისის საქალაქო საბჭომ აირჩია გამგეობის წევრად ბ. გველესიანი ნაცვლად ბ. ალექსი გაბაშვილისა. ამ არჩევნებმა საზოგადოებაში ლაპარაკი გამოიწვიეს და გაზეთებშიაც დაიბეჭდა ზოგი რამ, რაც არ იყო ბ. გველესიანის სასარგებლოდ, სახელდობრ, „ნოვ. ობოზრ.“-ში და შემდეგ ჩვენს გაზეთშიაც. ამ წერილებიდან და საზოგადოების მითქმა-მოქმიდან სჩანს, რომ ხსენებულ არჩევნებში რაღაც ანორმალურ გარემოებას ჰქონდა ადგილი.

რაშია საქმე? რამ გამოიწვია ეს ლაპარაკი? ბ. გველესიანს ჰგონია, რომ აქ უმთავრესად მის პიროვნებას შეეხება საქმე და იმიტომაც ასე სასტიკად იხსენიებს ჩვენს კორესპონდენტს. ჩვენ-კი ვფიქრობთ, რომ აქ ბ. გველესიანის პირადობა არაფერს შუაშია და ჩვენი კორესპონდენტი, ქუთაისის საზოგადოების ნაწილთან ერთად, გულნაკლულია საზოგადოობრივ მიზეზებისა გამო.

როგორც ვიცით, ქუთაისის საქალაქო საქმეების მართვა-გამგეობის საქმე ხელში ჩაიგდო ბ. ლოლუას პარტიამ. ეს პარტია და ბ. კ. ჩიკვაიძის მომხრეები ქუთაისის ინტელიგენციამ საზოგადოების მავნებელ ჯგუფად აღიარა და უკვე რამდენიმე წელიწადია ებრძვის მათ. ქუთაისის საზოგადოების უკეთესი ნაწილი კარგა ხანია ცდილობს ხსენებულ ელემენტებს გამოჰგლიჯოს ხელიდან ორი დიდმნიშვნელოვანი დაწესებულება, რათა მოაწესრიგოს საზოგადო საქმეები, რომელთა მართვა ბ.ბ. ჩიკვაიძისა და ლოლუას-მიერ არა სასურველად სწარმოებს და რომელთა მოქმედება რყვნის საზოგადოობრივ მოღვაწეობას ქუთაისში. სამწუხაროდ, ინტელიგენციის ბრძოლა დღემდის უნაყოფოდ რჩება და ქუთათური საქმეები კვლავ აწეწილ-დაწეწილია. ამგვარ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა დიდი დისციპლინა. თუ პარტიას საზოგადო დისციპლინა აკლია, თუ ერთი ალთას იწევს, მეორე ბალთას, მაშინ ძნელია საქმის მოგება. ქუთაისის ინტელიგენციის უძლურება უმთავრესად იმით აიხსნება, რომ მისი წევრები არ არიან მტკიცედ შეკავშირებულნი, რომ დისციპლინა აქვთ მეტად სუსტი.

ბ. გველესიანის არჩევანშიაც იჩინა თავი ამგვარმა დისციპლინის სუსტობამ. როგორც ვიცით, ბ. გაბაშვილი ოპპოზიციის წევრი იყო. თუ მას განზრახული ჰქონდა სამსახურიდან გამოსვლა, რატომ დროით და აშკარად არ იქნა ეს გამოცხადებული? ჩვენის ფიქრით, ეს რომ ადრევე სცოდნოდა პარტიას, მაშინ აღიძრებოდა ერთი საყურადღებო პრინციპიალური საკითხი: საჭიროა თუ არა, რომ ოპპოზიციის წევრი იქმნას არჩეული და ბ-ნ ლოლუას მოუჯდეს გვერდში? რა მოხელე იქნება ეს წევრი გამგეობაში? ნუ თუ ოპპოზიციის წევრის შესვლა გამგეობაში ზნეობრივად არ უმაგრებს ზურგს ბ-ნ ლოლუას და არ ასუსტებს ოპპოზიციას? ჩვენის აზრით, ამ პრინციპიალურს საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ბრძოლაში და ბ-ნ გველესიანს უნდა აღეძრა იგი, თუ პარტიის მეთაურებმა დაივიწყეს. ჩვენ არ ვიცით ნამდვილად, რათ დაანება თავი სამსახურს ბ-ნმა გაბაშვილმა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ უმთავრესი მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ ბ-ნმა გაბაშვილმა შეუძლებლად დაინახა ბ-ნ ლოლუასთან ერთად მუშაობა. ამიტომაც საკვირველია, როგორ იკისრა ამგვარი მოვალეობა ბ-ნმა გველესიანმა ისე, რომ მისი არჩევნები წინდაწინვე არ იყო აწონილ-დაწონილი და პარტიისაგან საერთოდ მოწონებული?!

ბ-ნი გველესიანი ახალგაზდა კაცია, ჯერ უცნობი საზოგადო ასპარეზზე. მის შესახებ ჩვენ კარგის მეტი არაფერი გაგვიგონია, მაგრამ ვგონებთ, რომ მისთვის უფრო საჭირო იყო მტკიცედ აღნიშნულის საზოგადო პროგრამით გამოსვლა. ბ-ნი კირილე ლორთქიფანიძე რომ გამოსულიყო კანდიდატად, ყველასათვის ცხადი იქმნებოდა, რომ ის კომპრომისის მეოხებით არ იქნებოდა არჩეული, რომ თუ ის შევიდოდა გამგეობაში, მხოლოდ ბრძოლის გაგრძელებისათვის შევიდოდა. ხოლო როდესაც ბ. გველესიანი აირჩიეს ისე, რომ ამას წინ არ უძღოდა პარტიის საერთო გარდაწყვეტილობა, ჩვენ, შორს მყოფნი და ბევრი ქუთათურიც, გაუგებარმა კითხვებმა შეგვიპყრეს. რომელ პარტიამ წამოაყენა ბ. გველესიანის კანდიდატურა? როგორ მოხდა ასე ადვილად მისი არჩევა იქ, სადაც ჩიკვაიძეები და ლოლუები ბრძანებლობენ? რატომ წინდაწინვე არ იქმნა ეს კანდიდატურა აწონილ-დაწონილი პარტიის მიერ და სხვა. არავის ფიქრად არ მოსვლია, რომ ბ. გველესიანმა ეშმაკურის ხრიკებით გაიყვანა თავი, რომ მანაც იხმარა დასაგმობი საარჩევანო იარაღი, რომლითაც უძლეველ არიან ბნელი ძალები იმერეთისა, მაგრამ ისიც ძნელი მოსაწონია, როცა საზოგადოებამ ნათლად არ იცის — რამ აიძულა ბ. გველესიანი გამგეობის წევრობა ეკისრა ბ. ლოლუას საბრძანებელში, რა დამოკიდებულობა არსებობს მის შუა და ოპპოზიციის შუა, ერთის მხრით, და მის შუა და გამგეობის მომხრეთა შუა, მეორეს მხრით.

ერთის სიტყვით, ჩვენ გვგონია, რომ ბ. გველესიანის არჩევნებშიაც იჩინა თავი ქუთათურმა საზოგადოობრივმა უდისციპლინობამ, რომელმაც ბევრი საქმე გააფუჭა იმერეთში და კიდევ ბევრს წაახდენს.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

3 იანვარი

**პეტერბურგი.** დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული მემკვიდრე ცესარევიჩით და დიდი მთავრინა ოლღა ალექსანდრეს ასულით 2 იანვარს გატჩინოდან პეტერბურგს მოვიდნენ.

ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა დროშები — ენისეის, ნერჩინსკის, ზემო-[illegible] რეზერვის ბატალიონებს და მეორე აღმოსავლეთ-ციმბირის საპიორის ბატალიონს.

**ხარკოვი.** სასამართლოს სხდომა ციგნების საქმის შესახებ [illegible] მეებმა იცნეს ბრალდებულთან ნახული ნივთები, როგორც მარტინენკოვის საკუთრება. პოლიციის მოხელენი ამტკიცებენ, რომ უმცროსმა კალმიკოვმა აღიარა თავისი დანაშაული და აიძულა თავისი საყვარელი ციგნის ქალი ჟადანოკი გამოტეხილიყო, რომ მან შეინახა მოპარული ნივთები. კალმიკოვმა აჩვენა გზა, რომელზედაც გაიარეს მკვლელებმა. კალმიკოვის ნათქვამი სავსებით დამტკიცდა სხვა მოწმეების ჩვენებით.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტროს განზრახვა აქვს, შეადგინოს იომანრის ძლიერი რაზმები სამხრეთ-აფრიკაში გასაგზავნად და ხელახლავ აღადგინოს რამდენიმე ბატალიონი მილიციის ჯარისა.

**კონსტანტინოპოლი.** სტიპიაში მშვიდობიანობა აღდგენილია და კოსსოვის ვალი დაბრუნდა უსკიუბში.

**ლონდონი.** პორტსმუტის ბურგომისტრმა სთხოვა რობერტს დაენიშნა მისთვის დღე საპატიო ხმლის ჩაბარებისათვის; რობერტსმა ამაზე უპასუხა, რომ მისთვის მეტად სამძიმოა მიიღოს საპატიო საჩუქარი იმ დროს, როცა ამოდენა ხალხი ამგვარ მწუხარებაში იმყოფება.

**კრონშტადტი.** რკინის გზის გაყოლებით, ჩრდილოეთისაკენ, ბურები ძლიერად მოქმედებენ. ბურების სხვა და სხვა პატარა რაზმები უკანასკნელ დროს გადავიდნენ რკინის გზაზე კრონშტადტსა და ლინდლეის შუა, სადაც ისინი ხშირად ჩნდებიან. უფრო დიდი რაზმები კი, როგორც სჩანს, წავიდნენ სამხრეთისაკენ დევეტთან შესაერთებლად.

**პეტერბურგი.** 6 იანვარს შესრულდება 50 წლის იუბილეი ლიტოგრაფიის მიუნსტერის ფირმისა.

**პეკინი.** რუსეთის ელჩი გირსი პროტესტს აცხადებს წინააღმდეგ ინგლისელებისა, რომელნიც ნებას არ აძლევენ რუსებს დაურიგონ ბრინჯი ჩინელ ჯარისკაცებს ინგლისელების უბანში.

**ვაშინგტონი.** მაკ-კინლეის ავადმყოფობა ნორმალურად მიდის; იგი უკვე საქმობს, თუმცა ჯერ კიდევ არ გამოდის თავის კაბინეტიდან... ძო ოთახიდან.

**პეკინი.** რკინის გზის ფრანგთა ინჟინრებმა გაარღვიეს დასავლეთის ქალაქის კედელი, რო...

---

...ბლოდან განდევნოს. მაგრამ იმას არასოდეს არ აღუთქვამს შველა თავის მოცილე ინგლისისათვის და არავის დაჰპირებია, რომ ინგლისის დამცირებას ხელი შეუშალოს. ის კარგი პატრიოტია და როცა ეუბნებიან: „დაიხსენ შენი მტერი ზავით“, ის პირს იბრუნებს და არცა სტყუის. ნამდვილად, შეიძლება განა მოვსთხოვოთ იმპერატორს საქმეში გარევა სწორედ იმ სასურველი წამის დროს, როდესაც სრულდება ბისმარკის წინასწარმეტყველება: „სამხრეთ აფრიკა იქნება სამარე ინგლისის კოლონიალურ ძლიერებისათვის“. რა ქკვაში მოსასვლელია, რომ გერმანელი კოლონიზატორი წინააღუდგეს ინგლისის კოლონიზაციის შემუსვრას? მოვალეა განა, რომ ესა ქმნას? ნება კი აქვს ამის ქმნისა? ამას რომ ცდილიყო, ის უღალატებდა თავის ერს, თავის მიზანს, დაწყებულ საქმეს და მიღწეულ ნაყოფებს. ეს არა კმარა, ის უღალატებდა ამით თვით იმ აღთქმას, რომელიც ბურების ერს მისცა, რადგანაც იმან მოვალეობად იკისრა შემწეობა გაუწიოს ბურებს გაჭირების დროს და სრულობით არ დაუფიცნია ხელი შეუშალოს ბისმარკის სიტყვების განხორციელებას.

ამ მხრივ გერმანიის ახალგაზდა იმპერატორის ქცევა გასაგებია, საპატიებელი, სამართლიანი და მეტად ცხადი. ის არ ერევა საქმეში ბურების მეგობრობის გამო.

მაგრამ მაშინ როგორღა ავხსნათ კრიუგერის ქცევა? ვ რა ვბედავ სწორედ ამ კითხვაზედ პასუხის მოცემას. როდესაც ეს პატრიოტი ილაჯს იწყვეტავს და ყველას ევედრება შუა მავლობას, რომელიც ისეთი ხელ საყრელია იმის სამშობლოს მტებისათვის, როდესაც ის დაწრწის ქვეყანაზედ და მოწყალებას თხოულობს ინგლისისათვის და არა ბურებისთვის, როგორც თქვენა გგონიათ, მაშინ კრიუგერის როლის არა ბუნებრივობა ჩვენ გვაოცებს და გვაწუხებს. მაშინ ერთი კითხვა გვებადება ჩვენ: ის, ვინც ინგლისის ინტერესებისათვის ასე თავდადებით იბრძვის, ინგლისის მსახური — არ უნდა იყოს? სათქმელად საზარელია, მაგრამ ვერ უარ-ვყოფთ იმ აზრს, რომ კრიუგერი ჩემბერლენის დახსნას ცდილობს. წადგით კიდევ ერთი ნაბიჯი წინ, თუ გამბედაობა არ გიღალატებთ და მიხვალთ იმ დასკვნამდე, რომ „კრიუგერი — ჩემბერლენის აგენტია“.

ისტორია გამოააშკარავებს როდისმე ყველა ამ საიდუმლოებს, იმიტომ, რომ მრავალი საიდუმლოა ამ ოქროს დრამაში. ფარდის ერთი კუნჭული აეხადა მეორე გამოცანასაც. ცნობილია, რომ, სწორედ იმ დროს, როდესაც კრიუგერი ევროპაში წავიდა, ტრანსვაალი მიატოვა აგრეთვე ინგლისის დიდებულმა გენერალმა ბულლერმა იმ საბუთის ძალით, რომ ტრანსვაალი უკვე დაპყრობილი და დამშვიდებულიაო; ამ განმარტებამ ვერავინ ვერ დააკმაყოფილა და ომიც ისევ ისე სწარმოებს. მაშ რად მიატოვა დიდმა სარდალმა თავისი ჯარები?

ლაპარაკობენ, ტყვედ რომ ჩაუვარდა ბულლერი დევეტს ხელში, ბურებს სიტყვა მისცა და ამით განთავისუფლდაო. რა სიტყვა? რასაკვირველია, პატიოსანი სიტყვა! მაგრამ რის სიტყვა? აღარ ეომოს ტრანსვაალს? ასე ამბობენ, მაგრამ საბუთები კი არ მოჰყავთ, და ჩვენ სულ გიჟები უნდა ვიყვნეთ, რომ დავიჯეროთ, ვითომც ბურებმა თავიანთის ნება-ყოფლობით და სრულის შეგნებით გაიშორეს ისეთი მოწინააღმდეგე, რომელთანაც ასე სასიამოვნო იყო ბრძოლა და რომელიც ასეთი სასარგებლო იყო თავის მტრისათვის. არა, საქმე სულ სხვა ნაირად არის: როდესაც ბურებმა სამწუხარო შეცდომით დაიჭირეს ბულლერი, ისინი შეიყარნენ სათათბიროდ და გადასწყვიტეს, რომ იმ წამსვე გაანთავისუფლონ ტყვე გენერალი, თუ ის პატიოსან სიტყვას მისცემდათ, რომ ხელახლად უფროსობა და სარდლობა გაუწიოს ინგლისელთა ჯარებს. თავისუფლების მისაღებათ ინგლისის გენერალმა მისცა პატიოსანი სიტყვა, მაგრამ განთავისუფლდა თუ არა, მაშინვე დაარღვია თავისი ფიცი: ის დაბრუნდა ინგლისში. აი სწორედ ამ მიზეზით აიხსნება ის გარემოება, რომ მიუხედავად ყველა მარცხებისა, ბულლერს ისე დაუხვდნენ სამშობლოში. თუ მას პატივი ვერა სცეს, როგორც გამარჯვებულს სარდალს, იმას მიეგებნენ და მიესალმნენ, როგორც დიდ მამულიშვილს და მოქალა... რომელმაც ხელი აიღო თავის ჯარის სარ... ლობაზედ, რადგანაც ამით მხოლოდ ვნ... და ზიანი მოჰქონდა თავისი სამშობლო... თვის. ბულლერმა დაარღვია თავისი ფ... ცი, რომ გადაერჩინა თავისი სამშობლ... დაღუპვისაგან. პოეტები შეამკობენ მო... ვალში ამ დიდ მამულიშვილს და ლამა... დრამა შეიძლება დაიწეროს იმ ზნეობრ... ბრძოლის თაობაზედ, რომელიც გამოსცა... ამ კაცმა; ორში ერთი უნდა აერჩია ბუ... ლერს: ან უნდა ფიცი გაეტეხნა, ან უნ... თავის სამშობლო დაეღუპნა. ამ დრა... შეიძლება დაერთოს ადამიანის სხვა სულ... ვნებანიც: ბულლერთან ერთად შეიძლ... დავაყენოთ დაღვრემილი კრიუგერიც, რ... მელიც მტრის მხარეს გადადის; პიესის ... საწყისში ჩემბერლენი იქნება გამოყვანი... როგორადაც გულ-უბრყვილო კაცი, ... ტყუებული ხარბი სესილ როდსისაგან ... მერე თან-და-თან ის გადაიქცევა საწ... კაცად, რომელსაც სდევნის და სჩაგრ... ყაჩაღი დევეტი.

...გაიყვანონ რკინის გზა პოტინფუდან ...ოფუამდე. ტიანცძინის რკინის გზა მოვა მხოლოდ ქალაქის თათრის ნაწილის კედლამდე; სადგურს ააშენებენ იმ ადგილას, საცა ინგლისელები შევიდნენ პირველად.

...საელჩოების დაცვის საქმის კომისიას, რომელიც სპეციალისტებისაგან შესდგება, მსჯელობა აქვს შესახებ საერთო ნოტის მეშვიდე მუხლის პირობების განხორციელებისა; მეშვიდე მუხლი ეხება საელჩოების სამუდამო ...ველების დაარსებას და დიპლომატების ...ნის გამაგრებას.

**ლონდონი.** „დეილი მეილის“ ცნობებით პრეტორიიდან, ბურებმა აიღეს დავლათ რეისტერკოპთან თორმეტი ინგლისის ფურგონი; 23 მცველი დანებდნენ ბურებს, მას შემდეგ რაც მათ ორი კაცი მოუკლეს და 11 დაუჭრეს; დატყვევებულებს მალე თავისუფლება დაუბრუნეს.

**დურბანი.** „სტანდარდ“-ი იტყობინება, რომ კვირას სამ ესკადრონს ამხედრებულ ქვეითა ჯარისას ომი ჰქონდა ბურებთან ვოლკონტეინთან, სპრიგსის ჩრდილოეთით; ხუთი ...ური მოკლულია, ამათ შორის რაზმის უფროსი ვან გეერენი; რამდენიმე კაცი დაჭრილია; ინგლისელებს ზარალი არ მოსვლიათ.

**შანხაი.** შანდუნის გუბერნატორს იანშიკაის ბრძანება მოუვიდა წავიდეს პეკინში და მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებაში. ფიქრობენ, რომ იგი არ აასრულებს ამ ბრძანებას.

4 იანვარი

**ფლორენცია.** არნოლდ ბეკლინი გარდაიცვალა.

**პარიჟი.** რუსეთის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვამ მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. რუსეთს, მიუხედავად მრავალგვარ გაჭირვებისა, შეუძლიან უსესხოდაც იოლად წავიდეს. არც 1901 წლის საჭიროებისათვის მოუხდება მიჰმართოს უცხოეთის კრედიტს.

**ვაშინგტონი.** როდესაც ორივე მხარე ...ელს მოაწერს პეკინის ხელშეკრულობას, შეერთებულს შტატებს განზრახვა აქვთ წინადადება მისცენ ჩინეთს რომ ისინი მოითხოვენ ომის შეწყვეტას და უცხოელთა ჯარების გაყვანას ჩინეთიდან, ან პეკინის მიდამოებიდან მაინც.

პრინცი ცინი გუშინ უფროსი საჭურისის თანახლებით წავიდა ქალაქის აღკრძალულ ნაწილში და დაჰკრა იმპერატორის ბეჭედი იმ დოკუმენტებს, რომელნიც ხვალ უნდა წარუდგინონ ელჩებს.

ბერლინიდან მოსულ ბრძანების მიზეზით შეფერხდა მოლაპარაკება რკინის გზის გადაცემის შესახებ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

※ ლონდონიდან იწერებიან დეპეშით 29 დეკემბრის რიცხვით, რომ ექვს ინგლისურ შორი შორს მდებარე პოზიციაზედ ტრანსვაალში ბურებმა ერთსა და იმავე დროს იერიში მიიტანეს; მიზანი ამ მუდამი იერიშებისა ის არის, რომ კიტჩენერმა ჯარი ვეღარ გაგზავნოს კაპის ოლქში. ბურების ამისთანა მოხერხებული სტრატეგია ძალიან აკვირვებთ ინგლისელებს; ამათ არა ნაკლებ აოცებს ბურების სრულიად შეცვლილი ტაკტიკა, რომელსაც ინგლისელები თან და თან ეჩვევიან: ბურები პირდაპირი იერიშით მიდიან, ხელ-ჩართულს ბრძოლას ჰმართავენ და სდევნიან დამარცხებულ მტერს. ეს მოიქცნენ ლინდლეისთან მომხდარი ბრძოლის დროს, რომელზედაც მოვიდა ახალი ცნობები; ეს ცნობები ჰმოწმობენ, რომ დევეტმა დაამარცხა ძალზედ და მთლად გაანადგურა ინგლისელი რაზმები, რომლებიც გარს შემოეხვივნენ და დაჭერას უპირებდნენ. ბრძოლამ სამი დღე გასტანა; ინგლისელ ჯარების ხელმძღვანელი იყო თითონ კიტჩენერი. მთავარ სარდლის საკუთარი დამცველი რაზმი თითქმის მთლად გაუწყვეტიათ. ინგლისელები აღიარებენ დამარცხებას, მაგრამ ჰვეხულობენ იმით, რომ ამ ბრძოლის დროს ისინი გმირულად იცავდნენ თავს და არც ტყვედ გაჰყოლებიან ბურებს.

გენერალ ნოკსისაგან მთელ კვირაზედ მეტია, რაც არავითარი ცნობა აღარ მოსულა. ბურების საკმაოდ მოზრდილი რაზმები, რომლებიც გროკუსების ოლქზედ მიდიოდნენ ვითომ გერმანიის სამფლობელოში, უცებ სხვა გზას დაადგნენ; ოლქის მოსახლეობა აჯანყდა და ბურებს შეუერთდა. კაპის ახალშენში ბურები გროვდებიან კაპშტადტიდგან 150 ვერსტის მანძილზედ; ინგლისის მართველობა ამაგრებს ქალაქს და ახლო მახლო მიდამოებს, ზღვის მხრიდანაც კი, თითქო რომელიმე დიდი სახელმწიფოს ჯარი შემოსეულა ახალშენშიო. ისე ამაგრებენ კაპშტადტს, თითქო ბურები სადაა ალყას შემოარტყამენო. რათაც უნდა დაბოლოვდეს ბურების შესვლა კაპის ახალშენში, ყოველ შემთხვევაში ბურების გაჩენა ამ ოლქში ინგლისელებისათვის ყოველ ომზედ საზარალო იქნება. კიტჩენერი თითონ ჰმოწმობს თავის სისუსტეს, — გამოჰყავს თავისი ჯარები ყველა ქალაქებიდან, რომელნიც კი უმთავრეს გზებზედ არა მდებარეობენ და აცარიელებს მთელს ქვეყანას ცოტაოდენი საჭირო ადგილების გარდა

※ აფრიკიდან მოსული ბოლონდელი ცნობებით კაპის ახალშენში გადასულა დასავლეთიდან კიდევ ერთი რაზმი ბურებისა, რიცხვით, 5000 კაცამდე.

※ ფრანგული გაზ. «პარი ნუველ»-ის კორესპონდენტი, რომელიც ეხლა ბურებთან ერთად იბრძვის სამხრეთ-აფრიკაში, იტყობინება რამდენიმე საინტერესო ცნობას შესახებ მეომარი ბურებისა და მათი ცხოვრებისა:

«ერთი წლის ომმა ბურები ნამდვილ ჯარის კაცებად გადააქცია; წინათ ისინი უფრო უბრალო გლეხკაცებს ჰგვანდნენ. ეხლა კი ბურისათვის ომი — გახდა სწორედ გასართობი საქმე, რომელსაც ის სულით და გულით ეძლევა, ხოლო ინგლისელები წარმოადგენენ იმათსთვის — ნადირს, რომელზედაც ის დაუღალავად ნადირობს. ამიტომ საფიქრობელიც არ არის, რომ ომი გათავდეს, სანამ ინგლისელების ხსენება იქნება ბურების ქვეყნებში. შეიძლება რომ ბურებმა მარტში დაიხიონ ჩრდილოეთისაკენ, სადაც ყოველთვის მშვენიერი საძოვრები აქვთ ცხენებისათვის, მაგრამ ღვინობისთვეში ისინი ხელ-ახლად სამხრეთში გაჩნდებიან. ბურები საოცრად მარჯვედ ისვრიან. 100 პატრონიდან 84 უსათუოდ მიზანს ჰხვდება. ისინი რაც მოხვდება იმას იცვამენ, უფრო სშირად კი ინგლისურ მუნდირებს. თავიანთი ზარბაზნები ყველა მიწაში დაჰფლეს, თვითონ კი იბრძვიან ინგლისელებისაგან წართმეული ზარბაზნებით. ამიტომ, რაც იმათ ზარბაზნები რჩებათ ბრძოლის ველზედ, ისინი უბრუნებენ ინგლისელებს მხოლოდ მათგანვე წართმეულებს».

※ რამდენიც გრძელდება პარტიზანული ომი და ცხადდება იმისი სიძნელე, ინგლისის ჯარს იმდენი უმძიმდება და სასოებას უკარგავს ეს ომი. ამისთანა ცუდი გუნების მიზეზებზედ ერთი ინგლისელი ოფიცერი შემდეგს იწერება:

«ინგლისელებს ხელთ უჭირავთ რამდენიმე ქალაქი და რამდენიმე პოზიცია უმთავრესი რკინის გზების პირად. ამ ადგილების დაცვა კიდევ შეუძლიანთ ინგლისელებს, მაგრამ სადმე შორს წასვლა ბევრი ჯარებით კი არ შეუძლიანთ. დიდს რაზმებს უკან გაასოლებენ ხოლმე «სუმბუქ რაზმებს», რომელნიც უმთავრესად ქვეითა ჯარისაგან შესდგებიან. ისინი გადიან პრეტორიიდან, მაგრამ იშვიათად მოქმედებენ ერთად. თუმცა ყოველ ქვის უკან სიკვდილია დამალული, ეს რაზმები მაინც გულადად მოქმედებენ, მაგრამ გამარჯვებას ისინი აღტაცებით არ ეგებებიან, რადგანაც იციან, რომ ნაყოფი არ შეეფერება გამოვლილ ტანჯვასა და ზარალს. ქვეითა ჯარმა იცის, რომ ის ვერ დაიჭერს ცხენოსან მეომრებს, ხოლო ცხენოსანმა ჯარმაც იცის, რომ იმათი სიცოცხლე ყოველთვის ბეწვზედა ჰკიდია. თვითონ გენერლები აღიარებენ, რომ იმათგან შეუძლებელს თხოულობენ, როცა უბრძანებენ ყოველ გზაში შეხვედრილ ბურების რაზმის გაფანტვას. ნიადაგი თავ-დაცემით ხშირად ახერხებენ ბურების რომელიმე რაზმის გაფანტვას, მაგრამ მხოლოდ დროებით. ბურები ერიდებიან ყოველთვის ზარბაზნებს და უკან იხევენ, მაგრამ წავლენ თუ არა ინგლისელები, ისინი ისევ უკან ბრუნდებიან. ყოველი რაზმი თავის საკუთარს ოლქში რჩება. ინგლისელების ზარალი ერთი ათად აღემატება ბურების ზარალს. ოც ყოჩაღ კაცს, თუ კაი საფარი აქვთ, შეუძლიანთ ეხლა გაიმაგრონ პოზიცია მთელის ბატალიონის წინააღმდეგ, რომელიც იერიშით მიდის იმათზე გაშლილ ადგილზე უზარბაზნოდ და მერე შეუძლიანთ გაიქცნენ გაოთხებული ცხენებით უვნებლად და ბატალიონს კი დიდი ზარალი მისცენ.

ამ ჩამოთვლილი მიზეზების გამო ინგლისის ჯარებს გულითა ჰსურთ, რომ ომი, რაც შეიძლება, მალე გათავდეს, მით უმეტეს, რომ, როგორც «ტაიმს»-ს ატყობინებენ კაპშტადტიდგან, ძალიან ცოტა ჯარი დაა თავისუფი, იმიტომ რომ ხუთი მეექვსედი ინგლისის მთელი ჯარისა მიჯაჭვულია ბურების მიერ რკინის გზების ლიანდაგზედ და ქალაქებზედ, ხოლო მტრის სადევნელად ცოტა ცხენოსანი ჯარი-და რჩებაო».

※ ირლანდიელების ლიგამ დუბლინში ამ ბოლოს დროს გამართა არა ერთი კრება, რომლებზედაც დიდ ძალი ხალხი ესწრებოდა ხოლმე. ლიგა ამ კრებებზედ ნიადაგს ამზადებს მომავალი სამოქალაქო არჩევნებისთვის. ირლანდიელი-ნაციონალისტები ბეჯითად თხოულობენ, რომ ეხლანდელი საქალაქო მრჩევლები ყველანი უცლებლივ უნდა გამოიცვალნენო. ისინი ბრალად სდებენ ამ მრჩევლებს, რომ მათ ადრესი მიართვეს ინგლისის დედოფალს ვიქტორიას შარშან; გაზაფხულზედ, როცა ის მოგზაურობდა ირლანდიაში.

ირლანდიელი ლიგა აგონებს თავის თანამოაზრეებს, ეხლანდელი დრო მეტად მარჯვეა საიმისოდაო, რომ ირლანდიამ ისარგებლოს ინგლისის გაჭირვებული მდგომარეობით და თვით-მმართველობა იშოვოსო.

※ 18 იანვარს (ახ. სტ.) შესრულდება 200 წელიწადი პრუსიის სამეფოს არსებობისა; ამ დღეს ბერლინში დიდის ამბით იდღესასწაულებენ. დღესასწაულებს დაესწრობიან ბევრი უცხოელი უმაღლესი პირები. დღესასწაულის პროგრამები უკვე იბეჭდება გერმანულ გაზეთებში.

※ საფრანგეთის დეპუტატთა პალატის თავსჯდომარის ამორჩევის დროს დეშანელმა გაიმარჯვა ბრისონზე ისევ იმდენა ხმის უმეტესობით, როგორც შარშან. ნაციონალისტების პარიზელი გაზეთები, გახარებული ამის გამო, ამტკიცებენ, რომ ეს დიდი მარცხი იყო მთავრობისათვისო, რომელსაც არა ჰყავს მუდმივი მტკიცე უმეტესობაო. «გოლუა» იმედსა აცხადებს, რომ დეშანელი ამას იქით არ დასჯერდება უბრალო შუამავლობასა და დასის მეთაურობას იკისრებსო. რადიკალური გაზეთები თავიანთ მხრივ მკაცრად ჰკიცხავენ იმ რესპუბლიკელებს, რომელთაც ისარგებლეს დაფარული კენჭის ერთხელ და დეშანელს მიუდგნენ, როდესაც ყოველთვის ისინი ვალდეკ-რუსსოს მთავრობის მხარეს იყვნენ თავიანთ ამომრჩეველთა შიშით.

ამ მოკლე ხანში პალატამ უნდა განიხილოს კანონ პროექტი შესახებ კონგრეგაციებისა, და მაშინ ცხადად გამოჩნდება რამდენად მტკიცე და შეურყეველია საფრანგეთის ეხლანდელი მთავრობის მდგომარეობა.

«ფიგარო» ჯერ კიდევ პალატის პრეზიდენტის არჩევნამდე პირდაპირ ამტკიცებდა, რომ თუ კენჭის ყრა ახლიდა იქნება, დეშანელი უსათუოდ გამოვდებაო. დასის წევრები შეთანხმდნენ, რომ მხარი მისცენ ბრისონს და იმათ ყველა პარტიაში მაიფურთხებდა, სხვას რომ აერჩიათ, მაგრამ კენჭის ყრა იქნება დაფარული და არჩეული უსათუოდ დეშანელი იქნებაო.

## ახალი ამბავი

◆ 3 იანვარს, ღამით, ტფილისში უეცრად გარდაიცვალა ე. თ. სტაროსელსკისა, გურამიშვილის ასული.

◆ როგორც გადმოგვცეს, ქ. ბათუმის მახლობლად მდებარე მიწებზე ფასები თითქმის ყოველ დღე მატულობს. ერთი დესეტინა ადგილი „ზელიონი მისსზე“, მახინჯაურაში და ჩაქვაში ღირს რამოდენიმე ათას მანეთად. ფასების ამდენად გადიდება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ამ უკანასკნელ წლებში ზემოდ ხსენებულ ადგილებზე აშენებენ აგარაკებს და აშენებენ ჩაის პლანტაციებს და სხვა უცხო ქვეყნების მცენარეებს. ჩვენ არას ვიტყვით უცხო ქვეყნის ძვირფას კულტურის მცენარეებზე, ... ივარგებს თუ არა ეს ადგილები ... გვაჩვენებს, და რაც შეეხება იმას—საგარაკოა ეს ალაგები თუ არა, — ჩვენ გულახდილად შეგვიძლია ვსთქვათ რომ ციებისა და ცხელების (მალიარია) მეტი არა არისრა აქ. ყველა უცხო ტომის მუშები რამოდენიმე კვირესაც ვერ ძლებენ, თუმც დღიური ქირა აქ ხშირად 1 მ. 20 კ-მდე ადის.

◆ ტფილისში საქონლის ჭირი თანდათან ვრცელდება. ამიტომ განზრახვაა გააძლიერონ ტფილისის სასანიტარო და საბეითალო ზედამხედველობა.

◆ ტფილისის საგუბერნიო მმართველობას შუამდგომლობა აღუძრავს კავკასიის მთავარმართებლის წინაშე იმის შესახებ, რომ 35000 მან. იქმნეს გადადებული იმ პატრონთა დასაჯილდოვებლად, რომელთაც ჭირიან საქონელს მოუკლავენ.

◆ ტფილისის გუბერნიაში ამჟამად მხოლოდ თელავისა და დუშეთის მაზრაში არის საქონლის ჭირი. სულ 14 ადგილას მძვინვარებს.

◆ ოთხშაბათს, 3 იანვარს, ქალაქის გამგეობისა და ტეხნიკოს ხმოსანთაგან შემდგარ კომისიის შეერთებულ სხდომას გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა წარუდგინა განსახილველად განცხადება ბ-ნ ზეინალოვისა, რომელიც, როგორც ჩვენმა მკითხველებმაც უწყიან, სთხოვდა ქალაქის გამგეობას ნება დაერთოთ მისთვის ქალაქის მიწებზედ სადგურ ნავთლუღიდან მნაცაკანოვის ხიდამდე ნავთის მილის გაყვანისა. შეერთებულმა სხდომამ, განიხილა რა ამ საქმის შესახებ წარმოდგენილი ყველა ცნობები, დაადგინა ნება დაერთოს ზეინალოვს 12 წლის ვადით გაიყვანოს ქალაქის მიწებზე ნავთის მილი ნავთლუღიდან მნაცაკანოვის ხიდამდე მხოლოდ იმ პირობით კი, რომ თუ რაიმე საჭიროებამ აიძულა გამგეობა და მოინდომა აღნიშნულ მილებისაგან ქალაქის მიწების განთავისუფლება, ზეინალოვმა დაუყოვნებლივ უნდა შეასრულოს ქალაქის გამგეობის მოთხოვნილებაო. რაც შეეხება საფასს, რომელიც უნდა მისცეს ქალაქს ზეინალოვმა მიწებით სარგებლობისათვის, ამაზე ცალკე ექმნებათ მოლაპარაკება გამგეობასა და ზეინალოვს ხელშეკრულობის დადების დროს.

◆ ამავე სხდომაზე ნება დაერთო ტფილისის მოქალაქეს აბოევს ხარფუხიდან მირზოევის ძველი აბანოებიდან გამოიყვანოს გოგირდის წყალი თავის აბანოებში ნიკოლოზის ქუჩაზე, რისთვისაც მან მილის გაყვანის დროს უნდა ისარგებლოს ქალაქის მიწებით. ამის შესახებ ახლო მომავალში ექნებათ კიდევ მოლაპარაკება, რომლის დროსაც უნდა შეიმუშაონ პირობები, თუ რამდენი სასყიდელი უნდა გაიღოს აბოევმა ქალაქის მიწების სარგებლობის დროს.

◆ ერთ ხმოსანს წარუდგენია ტფილისის ქალაქის თავისათვის განცხადება შესახებ სტატისტიკურ ბიუროს დაარსებისა ქალაქის გამგეობასთან. ამ ბიუროს წლიურად მოუნდება 3000 მანეთი. („ტფ. ფურც.“).

◆ ქალაქ სიღნაღის ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე 1901 წლისათვის: შემოსავალი 11,891 მან. და 20 კაპ., გასავალი— 11,890 მან. და 55 კაპ.; დაახლოვებით ეს ხარჯთ-აღრიცხვა არ განირჩევა შარშანდელისაგან. სახალხო განათლებისათვის გადადებულია 232 მანეთით მეტი (წინეთ იყო 368 მან.), რადგანაც ადგილობრივი საქალებო სკოლა გადაკეთდა მარიამის სკოლად, სადაც, როგორც წინედ მოხსენებული გვქონდა, არც ქართულსა და არც სომხურს არ ასწავლიან.

◆ ვიღაც ტფილისის მცხოვრებს თხოვნა შეუტანია საგუბერნიო სამმართველოში იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს მას საადრესო კანტორის დაარსებისა. კანტორაში ცნობები იქმნება ყველა სახელმწიფო და

-საზოგადო დაწესებულების შესახებ და აგრეთვე კერძო პირთა ადრესები.

✦ ოთხშაბათს, 3 იანვარს, გამგეობის წევრის თავ. არგუთინსკი-დოლგორუკოვის მოხსენების თანახმად ქალაქის გამგეობამ დაადგინა დაინიშნოს ქალაქის საქონლის ბაზის გამგედ ბეითალი მკურნალი ვარშამოვი, ხოლო ბეითალი მელქუმოვი გადაყვანილ იქმნეს ქალაქის საყასბოს ექიმის თანამდებობაზედ.

✦ ტფილისის ქალაქის მოურავის განკარგულებით, განსაკუთრებულმა კომისიამ დაათვალიერა მაწანწალა და უპატრონო ძაღლების საკლავი კამერა; აღმოჩნდა, რომ ძაღლებს სამი წუთის განმავლობაში ჰკლავენ სრულიად უტანჯველად ნახშირ-მჟავის სიმჟავით; კამერა ჰკლავს 10 დიდსა და 15 პატარა ძაღლს ერთად. კომისიამ კამერა მოიწონა.

✦ ქალაქის სამეუნეო სასანიტარო ინსპექტორს წარუდგენია ქალაქის გამგეობისათვის მოხსენება იმ ჯარიმების შესახებ, რომელიც მას მიუსაჯავს 1900 წლის განმავლობაში. სულ 36 მან. დაუდვია ჯარიმა ზედამხედველებზედ და სხვა წვრილ მოხელეებზედ.

✦ ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიაში აღმოუჩენიათ, რომ შობის ხის გასაჩირაღდნებელი სანთელი შეღებილი ყოფილა მავნებელ წამლებით.

✦ ჩვენ მოგვივიდა ექიმის პანტიუხოვის მიერ შედგენილი სამი პატარა წიგნი: 1) ალკოგოლიზმი კავკასიაში; 2) ქობულეთი, როგორც საავარაკო ადგილი და 3) ინგუშები, ანტროპოლოგიური მიმოხილვა.

✦ ოთხშაბათს, 3 იანვარს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა წარედგინოს მოხსენება საბჭოს იმის შესახებ, რომ მომატებულ იქმნეს ღორის და კამეჩის ხორცის ეხლანდელ ნიხრზე გირვანქაზედ 1 კაპ. ხოლო ცხვრისა და ძროხის ხორცზედ ნიხრი დარჩეს ასევე, როგორც აქამდე იყო.

✦ ამ დღეებში ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ქალაქის საყასბოს გამგე ბეითალმა ვართანიანცმა სამსახურს თავი დაანებათ. გუშინ წინ, 3 იანვარს, გამგეობას განსახილველად წარედგინა რამდენიმე ბეითალთა თხოვნა აღნიშნულ თანამდებობაზე გამწესების შესახებ. გამგეობამ, განიხილა რა თხოვნებთან ერთად სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ამის შესახებ მოხსენება, დაადგინა დაინიშნოს ქალაქის მესამე ბეითალ მკურნალის თანამდებობაზე ბეითალი ისაია ზაქარიას ძე ტერ-სტეფანოვი, რომელსაც ჯამაგირად ექმნება წელიწადში 1200 მანეთი.

✦ 2 იანვარს ნაშუადღევს 2 საათზე, ბაქოს სადგურის ახლოს რევოლვერი ესროლა მედამფის შეილმა ლოპოვმა მაშინისტ იაკობ ცირევს და მუცელში დასჭრა. დაჭრილი რკინის გზის საავად-მყოფოში მოათავსეს.

✦ აგჭალიდგან გვატყობინებენ, რომ 2 იანვარს, დილის 11 საათზე, სადგურთან ტვირთის მატარებლები № 283 და № 174 დაეჯახნენ ერთმანეთს. ვაგონები არ დამსხვრეულა. არც მსახურნი დაშავებულან. ამ შემთხვევის მიზეზი ყოფილა ისრის ურიგოდ დაყენება.

✦ პოლიციის მეორე ნაწილში ხუთშაბათს, 4 იანვარს, მივიდა ნადვორნი სოვეტნიკი თეოდორე მერკულოვი და განაცხადა, რომ წუხელის, ნაშუადღევის პირველ საათზედ, მეჟევი ქუჩაზედ მეგობრისავის სახლებში თავის ბინაზედ ვნახეთ მოკლული ეფიმი ეგნატეს ძე ყილინსკი. როგორც აღმოჩნდა, გარდაცვალებულის ყილინსკის ბინიდგან მოტაცებული არაფერია და ამიტომ ჯერ ვერ გამოურკვევიათ, თუ რა მიზეზია მისი დახრჩობისა. გამოძიებას აღმოუჩენია, რომ ყილინსკის ბინაზედ მრავალი ოქროსი და ვერცხლის საათები ყოფილა, აგრეთვე უნახავთ ფული 25 მან. როგორც სჩანს, ყილინსკი მევახშეობასაც ეწეოდა თურმე. რამდენადაც საქმის გარემოება გვიჩვენებს, მოკვლის მიზეზი გაცარცვა

უნდა ყოფილიყოს პოლიცია ფიცხელ გამოძიებას შეუდგა ბოროტ განმზრახველთა აღმოსაჩენად.

✦ ოთხშაბათს, 3 იანვარს, პოლიციის მე-2 ნაწილში აბესალომოვის ქუჩაზედ თავის სახლში მიხეილ თეოდორეს ძე ორლოვსკის მიუსწვრია ერთი ბოროტ მოქმედისათვის, როცა იგი რაღაც ნივთებს იპარავდა. დამნაშავე, რომელიც უკვე შეიპყრეს, აღმოჩნდა ტფილისის მოქალაქე გიორგი ზანგალაძე.

# პროვინცია

**სოფ. კურდღელაური** (კახეთი). სოფ. კურდღელაურსა და თელავს შუა არავითარი ბუნებრივი საზღვარი არ არსებობს, ასე რომ უცხოს თელავის ნაწილი ეგონება. ზოგ სოფელს, ქალაქის ახლო მდებარეს, ქალაქი შეიერთებს და თავის ნაწილად აქცევს ხოლმე და ამ სოფელმაკი ზოგიერთ თავადიშვილების მეცადინეობით და თელავის თვით მმართველობის უყურადღებობით შემატა კარგა მოზრდილი ნაწილი თელავისა.

კურდღელაურში ითვლება 420 მეტი კომლი მცხოვრებნი თითქმის სულ ნაყმევნი არიან თ. ვახვახიშვილებისა და რუსიშვილებისა. ამის გამო ნაკლებად აქვთ საკუთარი ე. ი. თავისუფალი მამულები და მომეტებულ ნაწილად თავადების მამულებს ამუშავებენ სანაოთხლოდ. მიუხედავთ ამისა, ეს სოფელი შედარებით სხვა სოფლებზე ნივთიერად მაღლა დგას. ეს აიხსნება თელავის სიახლოვით; დედაკაცი, როგორც მამაკაციც მეტ შრომასა და უნარს იჩენს ცხოვრებაში. ყველა სახლთან შეჰხვდებით კარგა მოზრდილ ბაღჩას. დედა-კაცს შიგ მოჰყავს მწვანილეულობა, ბოსტნეულობა, ხილეულობა და სხვა. მას თავ-თავის დროზე ამოაქვს ნაწარმოები ქალაქში და ყველას ფულად აქცევს. მასთან ერთად მას ჰყავს: მეწველი ფურები, ინდაური, ქათამი. ერთი სიტყვით, ამ სოფლის დედაკაცთა შორის ძალიან არის მეურნეობა გავრცელებული, ხოლო კაცნი ამუშავებენ საქონელს ვენახებს და მიწებს.

მართალია, ნივთიერად არ არის ისე დაჭვეთებული, როგორც სხვა სოფლები, მაგრამ სამაგიეროდ სწავლის მხრივ იგი ჩამორჩენილია. ამოდენა მცხოვრებთა შორის არსებობს მხოლოდ ორი სამრევლო სკოლა სამ-სამ განყოფილებიანი, რომლის მასწავლებელნი არიან ამ სოფლის ეკლესიის მღვდელნი. ნუ თუ ამოდენა ხალხს არ უნდა ჰქონდეს ერთი საკუთარი ორ-კლასიანი სკოლა? მცხოვრებნი ყურადღებას არ აქცევენ სწავლა-განათლებას, თორემ განა ამათ გაუძნელდებათ ერთი სკოლის შენახვა! თითო კომლმა, სულ ცოტა, ორი მანეთი რომ გამოიღოს, წელიწადში 840 მანეთი შესდგება და ამ ფულიდანკი ორი კარგი მასწავლებლის მოწვევა შეიძლებოდა, რომელიც წესიერად გაუძღვებოდა მათ შვილებს. არა თუ თვითონ არ იარსებენ საკუთარ სკოლას, არამედ ასე ახლო არიან თელავზე და არც ერთი მაგალითი არ-ყოფილა, რომ მათი შვილები თელავის რომელიმე სკოლაში დადიოდნენ

დეკემბრის შუა რიცხვებში აქ საქონლის ჭირი აღმოჩნდა და ადმინისტრაციის მიერ სასტიკი ზომები იქმნა მიღებული ჭირის მოსასპობლად. აქამომდე 11 სული მოუკლავთ. საქონლის ჭირი თან და თან ვრცელდება და ადვილი წარმოსადგენია, როგორ შეუშლის ხელს მეურნეობას, რომელსაც ასე მისდევენ ადგილობრივი მცხოვრებნი.

კურდღელაურს მერმისში დიდი იმედი მოელის რკინის გზის გაყვანის მიზეზით: რკინის გზის სადგური იქნება სწორედ სოფლის თავში, და ეს-კი დიდ სარგებლობას მოუტანს მცხოვრებთ და უფრო წინ წასწევს მათ ნივთიერს მდგომარეობას.

დიმიტრაშვილი.

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენ პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცლის“ ერთ-ერთ ნომერში ამას წინად მოთავსებული იყო ბ. დ. მ. მიერ ხელმოწერილი კორესპონდენცია ქუთაისიდან, რომელიც უმთავრესად ეხება ჩემ პიროვნებას. ეს წერილი მე მიმაჩნია ჩემდა შესახებ ცილის წამებათ, ჩემი ზნეობითი პიროვნების და პატიოსნების შემაგინებლად, ვინაიდგან: 1) ბ. დ. მ. მაწერს მე უმართებულო, უკადრის საშუალებათა ხმარებას ქალაქის გამგეობის წევრად არჩევნების დროს (იხ. მისი სიტყვები: „და ეცდება არ იხმაროს ის ფარ-ხმალი, რომელიც მან იხმარა არჩევნების დროს“; 2) კორესპონდენციის ავტორი უსაფუძვლოდ მწამებს პარტიისადმი ღალატს იმ აზრით, ვითომც მე ერთი საზოგადოებრივი ბანაკიდან მეორეში გადავსულიყვე, ანუ მისივე სიტყვებით რომ ვსთქვათ, პოზიცია გამომეცვალოს (იხ. სიტყვები: „ამ უკანასკნელ დროს მან პოზიცია გამოიცვალა და წინ დაუდგა ოპოზიციის სურვილებს“) და 3) ბ.დ. მ. მწამებს მე ფარულ მოღვაწეობას და პატიოსნების უქონლობას. მართალია ის პირდაპირ არ ამბობს ამას, მაგრამ ესეთი დასკვნა ცხადათ გამოსჭვირს მისი სიტყვებიდან: ჩამოსთვლის რა თავის წერილში იმ თვისებათა, რომლებითაც აღჭურვილ უნდა იყოს საზოგადო მოღვაწე, იგი განზრახ ჩემდა გასაგონებლად ამბობს: „ჩვენ მოვითხოვთ „პატიოსნებას და შეურყეველ მიმართულებას; *) ამასთანავე საჭიროა გულ ახდილი და არა ფარული მოღვაწეობა“...(აქ მრავალი წერტილი ავტორისაა). რა, თქმა უნდა, რომ ავტორს ამით ჰსურდა ეთქვა, რომ ეს ჩვენი ახალი კანდიდატი მოკლებულია ჯერ ერთი პატიოსნებას და შემდეგ გულახდილ მოღვაწეობას და ფარულს ეწევაო. ესეთი დასკვნა (ფარულ მოღვაწეობაზე) ნათლად მტკიცდება გარდა ზემოდ მოხსენებულ სიტყვებისა კიდევ მით, რომ კორესპონდენტი ორ სხვა ადგილას იმეორებს ამასვე (იხ. ა.) „ვისურვებთ“ გულწრფელი მოღვაწეობით გააცნოს თავი“ და ბ) გულახდილი მოღვაწეობა არის საჭირო და სასარგებლო“).

*) შეურყეველ მიმართულებაზე აქ არას ვამბობთ, რადგან ამას ეხება მეორე მუხლი.

ყოველ ზემოდ თქმულის მიხედვით ვიწვევ სამედიატორო სამართალში ავტორს დასახელებული კორესპონდენციისას ბ. მ., რომელსაც ვთხოვ გამოაცხადოს თავისი ვინაობა და ჩვენ ორთავე მხარისგან დაასახელოს ორი პირი, ვითარცა მსაჯულნი. მეც, ჩემის მხრით, აქვე ვასახელებ: ბბ. ფიც ვექილს დავით ბესარიონის ძეს ხელუფლიშვილს და ვასილ ალექსანდრეს დემიდოვს. შემდეგ, ჩვენ მიერ დასახელებულ პირთა თვით აირჩიონ თავმჯდომარე, სხვებმა მიუდგომელთა და პატიოსანთა პირთა, დასდვან მსჯავრი თქვენ ... ცილს და გაგვასწორონ ერთმანერთი.

გრ. გველესიანი.

ქ. ქუთაისი.

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

კახელ მევენახეთა საზოგადოების

„კ ა ხ ე თ ი“-ს

გამგეობა აუწყებს თვის წევრთ, რომ ამ 1901 წ. 21 იანვარს დანიშნულია თელავში ს ა ზ ო გ ა დ ო კ რ ე ბ ა ... ლად იმ კრებისა, რომელიც 20 ნოემბერს 1901 წელს იყო დანიშნული და არ შედგა. თანხმად საზოგადოების წესდების მე-39 მუხლისა, კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენიც უნდა იყოს რიცხვი დამსწრე წევრთა.

კრების განსახილველი საგნები: წლიური ანგარიში, მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა, ღვინის დაფასების ინსტრუქციის და ვენახების დაზღვევის პროექტები; წესდების ზოგიერთ მუხლთა შეცვლა; საკომისიო ჯილდოს რაოდენობის გარდაწყვეტა; ახალი წევრების მიღება; სამმართველო წევრთ არჩევანი.

(3—1)

1 Р. 15 коп. три мѣс.

БОЛЬШАЯ ЕЖЕДНЕВНАЯ ГАЗЕТА И ДВА ИЛЛЮСТРИРОВАН. ЖУРНАЛА

1 Р. 15 коп. три мѣс.

Второе изданіе

„Биржевыхъ Вѣдомостей“ и

САМОСТОЯТЕЛЬНЫЙ въ своихъ сужденіяхъ, чуждый тенденціознаго извращенія фактовъ и безусловно независимый органъ печати. Ярко освѣщая всѣ явленія общественной жизни, имѣя огромную сѣть корреспондентовъ, эта газета при всей своей твердости и не уклонности, справедливая и безпристрастная уже много лѣтъ является, несомнѣнно,

*наиболѣе полнымъ*

ВЫРАЗИТЕЛЕМЪ НУЖДЪ ПРОВИНЦІИ.

Главные отдѣлы газеты, а въ особенности передовой, политическій, съ театра военныхъ дѣйствій, столичной и провинціальной общественной жизни

СЪ ЕЖЕДНЕВНЫМИ ИЛЛЮСТРАЦІЯМИ,

телеграммъ, корреспонденцій и пр.,— по своей полнотѣ и свѣжести совершенно отвѣчаютъ подобнымъ же отдѣламъ другихъ большихъ столичныхъ газетъ. Въ ней нѣтъ ненужныхъ несвязанныхъ, случайныхъ замѣтокъ, а ихъ замѣняетъ

ЖИВОЕ СЛОВО.

*еженедѣльные журналы*

1) „НОВАЯ ИЛЛЮСТРАЦІЯ“

2) „ОГОНЕКЪ“

какъ по содержанію, такъ и по характеру своихъ иллюстрацій совершенно

НОВАГО ДЛЯ РОССІИ ТИПА.

Въ живыхъ наброскахъ нашихъ художниковъ и корреспондентовъ въ нихъ находятъ свои отраженія всѣ

ЗЛОБЫ ДНЯ.

Въ предстоящемъ году будутъ напечатаны:

«Петровскіе дни», историческій романъ эпохи императрицы Екатерины Великой, Гр. Е. А. Саліаса.

«Нежданно-негаданно», большой бытовой романъ Вас. Ив. Немировича-Данченко.

15 повѣстей и разсказовъ, *ПРЕМИРОВАННЫХЪ* и *на литературномъ конкурсѣ* высшими наградами изъ 1108 произведеній, представленныхъ на конкурсъ.

Главн. контора „Биржев. Вѣдомостей“, С.-Петербургъ, Невскій, 28.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА второго изданія „Биржевыхъ Вѣдомостей“, вмѣстѣ съ журналами и съ пересылкою: на годъ 4 руб. 60 коп., на 6 мѣсяцевъ—2 руб. 30 коп., на 3 мѣсяца—1 руб. 15 коп., на 1 мѣсяцъ—40 коп.

Почтовыя и гербовыя марки въ уплату не принимаются.

Въ 1900 году болѣе 125,000 подписчиковъ.

Дозволено цензурою Тифлисъ, 4 Января 1901 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბის. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.